

საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N7 - ინტერნეტ ბანკი

1. ინტერნეტ ბანკის მეშვეობით კლიენტი უფლებამოსილია დისტანციურად, ბანკში მიუსვლელად მისცეს ბანკს დავალება და მოითხოვოს წინამდებარე დანართით განსაზღვრული ოპერაციები.
2. ინტერნეტ ბანკით სარგებლობისას კლიენტი შედის ინტერნეტ ბანკის ვებ გვერდზე და გადის ავტორიზაციას უნივერსალური იდენტიფიკატორის გამოყენებით.
3. ინტერნეტ ბანკის გამოყენებისთვის კლიენტი გადის ძლიერი ავთენტიფიკაციით ავტორიზაციას.
4. ინტერნეტ ბანკში ავტორიზაციისას მომხმარებლის სახელის ან/და პაროლის სამჯერ არასწორად მითითების შემთხვევაში ინტერნეტ ბანკი დაიბლოკება 30 წუთით.
5. ინტერნეტ ბანკით (ვებ გვერდიდან ibank.ge) კლიენტი უფლებამოსილია:
 - 5.1. მიიღოს ინფორმაცია: ანგარიშ(ებ)ის, კრედიტ(ებ)ის, ანაზრ(ებ)ის (დეპოზიტ(ებ)ის), ფასიანი ქაღალდების, დაგროვების პროგრამების, ვალუტის კურსების შესახებ, ასევე ინფორმაცია შვილის ანაზრის (დეპოზიტის), sCool Card-ის შესახებ.
 - 5.2. შეასრულოს გადარიცხვის ოპერაციები;
 - 5.3. შეასრულოს ვალუტის გაცვლა საკუთარ ანგარიშ(ებ)ს შორის;
 - 5.4. გახსნას ან/და დაარღვიოს ანაზარი (დეპოზიტი);
 - 5.5. გაიაქტიუროს ბანკის მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) კრედიტ(ებ)ი (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ი, ოვერდრაფტი) ან/და ანაზრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი კრედიტი, ასევე, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები კრედიტ(ებ)ის ხელშეკრულებაში(ებში), ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;
 - 5.6. მოითხოვოს საკრედიტო ბარათის ლიმიტის გაზრდა;
 - 5.7. გაააქტიუროს/გამორთოს/დაარედაქტიროს (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში) ავტომატური გადახდები, მუდმივი საგადახდო დავალება, SMS ბანკი, ინტერნეტ ბანკი, ბარათის 3D უსაფრთხოება, ელექტრონული ყულაბა, ბარათის დაცვის მომსახურება;
 - 5.8. დაბლოკოს/განბლოკოს/გააქტიუროს Digipass-ი;
 - 5.9. აღადგინოს/შეცვალოს პაროლი/მომხმარებლის სახელი,;
 - 5.10. შეუკვეთოს სადებეტო ბარათი, მათ შორის ციფრული ბარათი;
 - 5.11. გამოაჩინოს ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
 - 5.12. მიიღოს/გააგზავნოს ფულადი გზავნილი;
 - 5.13. შექმნას გადახდებისა და გადარიცხვების შაბლონები;
 - 5.14. გადაიხადოს კომუნალური და სხვა გადასახდელეები;
 - 5.15. გადაცვალოს Express ქულები ან შეუკვეთოს საჩუქარი MR ქულებით;
 - 5.16. დაბლოკოს ბარათი;
 - 5.17. დაბეჭდოს ანგარიშის რეკვიზიტები, ამონაწერი, გადახდის ან გადარიცხვის ქვითარი;
 - 5.18. მართოს/დაგეგმოს საკუთარი ფინანსები;
 - 5.19. შეცვალოს ბანკში დაფიქსირებული საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის ფინანსური ნომერი და ელექტრონული ფოსტა;



- 5.20. ისარგებლოს სხვა მომსახურებებით, რომელსაც ბანკი განსაზღვრავს პერიოდულად.
- 5.21. მოახდინოს ბანკის მიერ განსაზღვრული ტიპის ანაბარზე (დეპოზიტზე) თანხის დამატება;
- 5.22. ისარგებლოს ონლაინ კონსულტაციის სერვისით, მათ შორის მიიღოს ინფორმაცია/კონსულტაცია ონლაინ რეჟიმში ან/და გამოიყენოს აღნიშნული სერვისის ბანკის მიერ განსაზღვრულ ოპერაცი(ებ)ზე თანხმობის გასაცემად;
- 5.23. ჩატის მეშვეობით, მიმართოს ბანკს და მოითხოვოს მისი დაფიქსირება ბანკის სხვა კლიენტის (იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც არ წარმოადგენს/წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს წარმომადგენლად.
- 5.24. სანდო ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება მიმღებისთვის;
- 6. ძლიერ ავთენტიფიკაციას საჭიროებს შემდეგი ოპერაციები:
 - 6.1. გადარიცხვა მესამე პირთან ან/და ბიუჯეტში. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის, გადარიცხვის ოპერაციის ძლიერ ავთენტიფიკაციით შესრულება შესაძლოა არ იყოს მოთხოვნილი, იმ შემთხვევაში თუ გადარიცხვა სრულდება ისეთ მიმღების სასარგებლოდ, რომელსაც კლიენტის მიერ მინიჭებული აქვს სანდო ბენეფიციარის სტატუსი;
 - 6.2. სანდო ბენეფიციარის სტატუსის მინიჭება მიმღებისთვის;
 - 6.3. ანაბრის (დეპოზიტის)დარღვევა ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;
 - 6.4. ციფრული ბარათის შეკვეთა ან/და ბარათის განბლოკვა.
 - 6.5. ციფრული ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების გამოჩენა;
 - 6.6. ავტომატური გადახდების, მუდმივი საგადახდო დავალების, ელექტრონული ყულაბის გააქტიურება/რედაქტირება/გამორთვა, ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისის გამორთვა;
 - 6.7. SMS ბანკის გამორთვა;
 - 6.8. მომხმარებლის სახელის, პაროლის ცვლილება;
 - 6.9. კლიენტის საკონტაქტო მონაცემების (მისამართი,ტელეფონის ნომერი ელ.ფოსტა, ფინანსური ნომერი ან/და ფინანსური ელექტრონული ფოსტა)ცვლილება;
 - 6.10. Digipass-ის დაბლოკვა/განბლოკვა/გააქტიურება;
 - 6.11. ბანკის მიერ შეთავაზებული (მათ შორის წინასწარ დამტკიცებული) კრედიტ(ებ)ის (მათ შორის საკრედიტო ბარათ(ებ)ის, ოვერდრაფტის) გააქტიურება, ასევე, ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა კრედიტ(ებ)ის ხელშეკრულებაში(ებში).;
 - 6.12. ბანკის მიერ განსაზღვრული ტიპის კრედიტის სრულად/ნაწილობრივ დაფარვა;
 - 6.13. ანაბრით (დეპოზიტით) უზრუნველყოფილი კრედიტის აქტივაცია ბანკში დადგენილი ლიმიტ(ებ)ის შესაბამისად;
- 7. ინტერნეტ ბანკში ავტორიზაციის გარეშე კლიენტს საშუალება აქვს გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია.
- 8. კლიენტს, რომელიც წარმატებით გაივლის ონლაინ იდენტიფიკაციას ან ფლობს ბანკის ბარათ(ებ)ს, შესაძლებლობა აქვს ინტერნეტ ბანკით დარეგისტრირდეს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში. ონლაინ იდენტიფიკაციის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს; ხოლო, ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე რეგისტრაციისას, კლიენტი უთითებს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ს რის შემდეგად უნდა მიუთითოს ერთჯერადი კოდი, რომელსაც მიიღებს ფინანსურ ნომერზე. ერთჯერადი კოდის წარმატებით

- მითითების შემდეგ, კლიენტი უთითებს სასურველ მომხმარებლის სახელსა და პაროლს ორჯერ.
9. **ინტერნეტ ბანკით პაროლის აღსადგენად კლიენტმა უნდა გაიაროს ონლაინ იდენტიფიკაცია და მიუთითოს ერთჯერადი კოდი, ან შესაბამის ფორმაში მიუთითოს ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ი და ერთჯერადი კოდი. კლიენტი ერთჯერადი კოდს მიიღებს ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში დაფიქსირებულ ფინანსურ ნომერზე ან/და ფინანსურ ელექტრონულ ფოსტაზე. ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ის საფუძველზე პაროლის აღდგენის შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს Digipass-ით, შესაძლებელია Digipass-ით დაგენერირებული ერთჯერადი კოდის გამოყენებაც.**
 10. **კლიენტის მიერ ინტერნეტ ბანკის მეშვეობით ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში, კლიენტს შესაძლებლობა ექნება მიიღოს შესაბამისი ელექტრონულ საბუთი.**
 11. **ბანკი უფლებამოსილია:**
 - 11.1. ნებისმიერ დროს შეზღუდოს, შეცვალოს ან/და გააუქმოს ავტორიზაციის ან/და ოპერაციის შესრულების მეთოდი, მათ შორის შეცვალოს იმ ოპერაციების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებს ძლიერ ავთენტიფიკაციას. ამასთან, თუ ბანკის სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ძლიერ ავთენტიფიკაციას არ საჭიროებს ისეთი მესამე პირის სასარგებლოდ განხორციელებული გადარიცხვა/გადახდა, რომლის თანხა არ აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს და ამასთან კლიენტის მიერ ბოლოს ძლიერი ავთენტიფიკაციით შესრულებული გადარიცხვიდან/გადახდიდან მიმდინარე გადარიცხვის/გადახდის თანხის ჩათვლით გადარიცხვის/გადახდის ჯამური თანხა არ აღემატება 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს ან კლიენტის მიერ ბოლოს ძლიერი ავთენტიფიკაციით შესრულებული გადარიცხვის/გადახდის შემდგომ კლიენტის მიერ მიმდევრობით შესრულებული გადარიცხვის/გადახდის რაოდენობა არ აღემატება ხუთს.
 - 11.2. ელექტრონული შეტყობინებების სახით კლიენტს გაუგზავნოს სხვადასხვა სახის შეტყობინებები ინტერნეტ ბანკში, რომელიც ჩაითვლება ბანკის მიერ სრულად და ჯეროვნად განხორციელებულ კომუნიკაციად.
 - 11.3. ოპერაციების განხორციელებისას დაუკავშირდეს კლიენტს მის ანგარიშ(ებ)თან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. როდესაც ბანკი დაუკავშირდება კლიენტს, იგი არასოდეს დაუსვამს კლიენტს კითხვას და/ან მოსთხოვს მას ინფორმაციას უნივერსალური იდენტიფიკატორების შესახებ. ბანკი კლიენტს დაუსვამს კითხვებს კლიენტის შესახებ იმ ინფორმაციიდან, რომელიც არსებობს ბანკში (მაგ: კლიენტის მიერ განხორციელებულ ოპერაციებზე) და რომელიც ბანკს მისცემს კლიენტის იდენტიფიკაციის საშუალებას.
 12. **ვებ-გვერდის მისამართი, რომლითაც კლიენტი უკავშირდება ინტერნეტ ბანკს შეიძლება შეიცვალოს.**
 13. **ბანკი უფლებამოსილია, კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე შეწყვიტოს ინტერნეტ ბანკით მომსახურება, თუ:**
 - 13.1. **კლიენტს აღარ აქვს ბანკში გახსნილი არცერთი ტიპის ანგარიში ან;**
 - 13.2. **მინიმუმ უკანასკნელი 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ არის გადახდილი/დაფარული ინტერნეტ ბანკის საკომისიო.**
 14. **იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი გადაწყვეტს ინტერნეტ ბანკის დროებით შეჩერებას ან/და შეწყვეტას, იგი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ, 2 (ორი) საბანკო დღით ადრე აცნობოს ბანკს წერილობითი ფორმით.**



15. თუ **კლიენტი** არასრულწლოვანია და იგი **ბანკში** წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლის მიერ, **კლიენტი/პირი**, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენელი:
 - 15.1. წინასწარ აცხადებს თანხმობას **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ განხორციელებულ/განსახორციელებელ ნებისმიერ **ოპერაციაზე**;
 - 15.2. ადასტურებს, რომ არასრულწლოვანი **კლიენტის** მიერ **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით განხორციელებული ნებისმიერი **ოპერაცია** სრულდება მისი, როგორც არასრულწლოვანი **კლიენტის** კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით და სრულად არის პასუხისმგებელი თითოეულ/ყველა **ოპერაციაზე**;
 - 15.3. წინასწარ აცხადებს თანხმობას **საკომისიოს, პირგასამტეხლოს** და სხვა გადასახდებების გადახდის თაობაზე, რომელიც შეიძლება დაეკისროს არასრულწლოვან **კლიენტს**, მის მიერ ნებისმიერი **საბანკო პროდუქტის/საბანკო მომსახურების** სარგებლობასთან/გამოყენებასთან დაკავშირებით;
 - 15.4. ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია, რომ **ბანკი**, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, შეტყობინების გაგზავნის გარეშე, შეზღუდოს ან/და შეცვალოს **ინტერნეტ ბანკის** საშუალებით არასრულწლოვანი **კლიენტისთვის** ნებადართული **ოპერაციების** ჩამონათვალი ან/და დააწესოს **ოპერაციების ლიმიტები**.